



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დოლიძე ქეთევან (ქეთი) სიმონის ასული

დოლიძე ქეთევან (ქეთი) სიმონის ასული (დ. 4. XII. 1945, თბილისი), რეჟისორი, მსახიობი. 1967 დაამთავრა თსუ-ის დას. ევრ. ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი, 1975 – საქართველო რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. იყო საქართველო ტელევიზიის რეჟისორი (1973–85, 1989–98). 1975- იდან არის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელი რეჟისორი და მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი თვითონ იყო. თეატრში დადგმული აქვს სპექტაკლები: ფ. გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ (1974), მ. შიზგალის „ვეფხვი“ (1980), ე. ბრილის „სერობა“ (1996), ჯ. ბ. შოუს „პიგმალიონი“ და სხვ. სატელევიზიო დადგმები: „დღესასწაული“ (1973), „გაკვეთილები“ (1975), „ჩემი ოჯახი“, „ლეილა“ (ორივე 1976), „შენ და მე“ (1977), „თეთრი მანდილი“ (1993) და სხვ. დ-ის რეჟისორული ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა მხატვრულ ფილმებში: „კაცია-ადამიანი?!“ (1979, ს. დოლიძესთან ერთად); „კუკარაჩა“ (1983, ს. დოლიძესთან ერთად; ლენინგრადის საკავშირო კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო ეკრანიზაციისათვის), „ძველი ვალსი“ (1985), „მარტოხელა მონადირე“ (1989), „ევრიდიკე“ (1991), „და სასახლეში ვნახავ სიხარულს“ (1993). გადაიღო დოკუმენტური ფილმები: „ლეილა აშინი“ (1978), „თეთრი მანდილი“ (1993). შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „სისხლიანი ქორწილი“ (1974), „შენსკენ სავალი გზები“ (1984), „მედეა – გახლეჩილი სამყარო“ (1997), „ჩემი თაობის ავტობიოგრაფიკი“ (2000) და სხვ. არის ქალთა საერთაშორისო მოძრაობის „თეთრი მანდილი“ დამფუძნებელი (1993); მისი ინიციატივით დამკვიდრდა მ. თუმანიშვილის სახ. საერთაშ. თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი“ (1996). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996).
